შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არიან არასაპენსიო ასაკის შშმ პირები.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია :

1. *სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით-მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) და არიან ეტლით მოსარგებლე, ან საწოლს მიჯაჭვული მწოლიარე და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს.*

2. *ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 მუდმივად მოვლის საჭიროების მითითებით.*

3. *პირადობის მოწმობის ასლი.*

4. *სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს.*

დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე.

პროგრამის განმხორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური.